

## საქართველოს კანონზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში  
დამატებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს საპატენტო კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონისა და „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს საპატენტო კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონისა და „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონთან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს საქპატენტში პატენტზე ან დიზაინის რეგისტრაციაზე წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამჟღავნებისათვის (სამართალდარღვევა გათვალისწინებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157<sup>4</sup>-ე მუხლით, რომელიც ამოქმედდება 2010 წლის პირველი ივლისიდან) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ მოითხოვს ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, კანონპროექტის მიღებას ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის მრწველთა ჯგუფი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა